წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. პარასკევი, 10 ივლისი 1915 წ. № 40

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ელ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ეღირება 5 მანეთი.

„საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 ივლისიდან წლის დამლევამდე ღირს 4 მან. 50 კ., 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ., ერთი თვით—90 კ., ადრესის გამოცვლა—40 კ.

მოვაგონებთ „კლდის“ იმ ხელის მომწერთ, ვისაც შთელი წლის ფული აქვს გადახდილი (5 მ.), რომ „საქართველო“ გაეგზავნებათ მხოლოდ 1 ივლისამდე.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“, Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

იმ საშინელ ცეცხლის გამო, რომელმაც იმსხვერპლა ძართული თეატრი და თავად-აზნაურთა სხვა შენობები, დროებით დაკეტილი

„კაფე პარიზი“

გაიხსნა წინანდელ შენობაში, სასახლის ქ., თ.-აზნ. ქარვასლაში,

იგი გამშვენიერებული და გალამაზებულია სატახტო ქალაქების პირველ-ხარისხოვან სასადილო-რესტორანების სტილით.

ყოველ დღე გვაქვს ევროპული და ჩვენებური საჭმელები, რომლებიც ნამდვილ კარაქზე მზადდება გამოცდილ კულინარის ხელმძღვანელობით. სასადილო-რესტორანს აქვს მყუდრო ბაღი, სანარდე და საბილიარდო განყოფილება 4 ბილიარდით და 10 ნარდით. სხვა და სხვა ხილეულობის წყალი, ნაყინი, ღომი, საცივი და ყოველგვარი იმერული საჭმელები. **თვიურ მოსადილეთ დიდი შეღავათი.**

პატივისცემით **დ. გიგიბერია.**

პირველხარისხოვანი „კაფე ბორდო“

მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანდი № 1.

ყავა, ყოველგვარი ცხელ-ცხელი საუზმე ღილის 9 საათიდან 12 საათამდე. **სადილი** 1—6 საათამდე. **სადილი** 2, 3 და 4 მანეთი. ავრეთვე ჩვენერბური საჭმელები: ხარჩო, ღომი, საცივი, ხაჭაპური, ნაყინი და სხვა და სხვა ხილის წყალი, ცხელი „პიროჟკები“. თვიურად მოსადილეთ შეღავათი ეძლევათ. სადილს ვგზავნით ოჯახებშიც. სასადილო ღიაა ღილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე.

პატივისცემით **რაჟდენ იოსელიანი.**

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი ტფ. კალეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და **ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე მანგლისში კადეტთა კორპუსის აგარაკში.

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს ღილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

ქ. ბოარზი

ექიმი

ნ. მ. კლიმია შვილი

ღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

ომის ღღიურები

მიმოხილვა

რიგა-შავლის რაიონში გერმანელებმა მიაღწიეს ვინდავა-იანიშკის ფრონტს. ვინდავა რიგის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს 30 ვერსზე, იანიშკი—მიტავის სამხრეთით 40 ვერსით. ამ მიმართულებით გერმანელთა ჯარი გაჭიმულია 50—60 ვერსის სიგრძეზე. მისი მარჯვენა წვერი მიბჯენილია შავლიზე, რომელიც ჯერ-ჯერობით უძრავ ღერძად არის გადაქცეული და შეჭრილია დასავლეთისკენ საერთო ფრონტზე. გერმანელები შავლის ჩრდილოეთიდან უვლიან

ნარევზე ნოვოგიორგიევსკის გარდა-გერმანელები ციხე ოსტროლენკას მოადგნენ, ზარბაზანი დაუშინეს მას და მდინარე ნარევს 30 ვერსის მანძილზე მიადგნენ—როჟანისა და პულტუსკის შუა. ამ ჯარს მარცხნივ, 40 ვერსზე რჩება ოსტროლენკა, ხოლო მარჯვნივ—ისევ 40 ვერსზე—ნოვოგიორგიევსკი. ნარევის გადასალახავად ამ ორი ადგილის ამორჩევა იმას ამტკიცებს, რომ გერმანელებს ამ ჟამად არ სურთ და არც შეუძლიანთ მოკლე ხანში ამ ორ ციხიდან ერთ-ერთის აღება. მათ სურთ ორ ციხის შუა გავლა, გასხლტომა და ვარშავაში მიმავალ გზების მოჭრა აღმოსავლეთიდან. მაგრამ ასეთი ოპერაცია ფრიად ძნელ საქმედ უნდა ჩაითვალოს, რადგან მეციხოვნე ჯარს თავის მხრივ ადვილად შეუძლიან წინ წამოსულ მოპირდაპირის მოწყვეტა, მოვლა და დატყვევება.

რამდენიმე ღლის სიჩუმის შემდეგ ღლეს ახსენეს ვისლის მარცხენა ნაპირის ერთი კუთხე, საღაც გენერალ ვოიერშის ჯარს იერიში მოუტანია ზვოლინ-გნევაშოვის ფრონტზე. გნევაშოვი მდებარეობს რადომის აღმოსავლეთით 45 ვერსზე, ვისლას ნაპირზე, ციხე ივანგოროდის სამხრეთით 10 ვერსზე და ლიუბლინის ჩრდილო-დასავლეთით 50 ვერსზე. მოპირდაპირე ლამობს ამ რაიონში ვისლაზე გადმოსვლას და ლიუბლინის მოვლას ჩრდილოეთიდან, მაგრამ ეს ოპერაცია მეტად ძნელი საქმეა, რადგან ვისლის გადმოლახვის სიძნელის გარდა, გამოლმა გადმოსულ ჯარს წვერში და უკან მოექცევა დიდი ციხე ივანგოროდი, რომლის აღება მოკლე ხანში თითქმის შეუძლებელი საქმეა.

გამოლმა ფელდმარშალ მაკენზენის ჯარი ხოლმის დასავლეთით თითქმის ასულა რკინის გზაზე, რომელიც ჯერ ისევ რუსის ჯარის ხელშია. ამ გზის გულისთვის 7 ივლისსაც მეტად ხანგრძლივი და მედგარი ბრძოლა ყოფილა, რომელიც ჯერაც არ დამთავრებულა.

მაკენზენი წინანდებურის ჟინით მიიწევს თავის მიზნისკენ და არავის და არაფერს ზოგავს მის მისაღწევად. იგი ხალხს არ ინდობს, ზარალს არა სთვლის და გააფთრებული, გაშმაგებული მოილტის. თქმა არ უნდა, რომ მისი ძალა თანდათან ილევა, სუსტდება და იშრიტება,

 მ. ბ.—ლი.

დეპეშები

თბილისი, 8 ივლ. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 6 ივლისს ზღვის რაიონში სროლაა. ოლთისის მიმართულებით ახას რაიონში ჩვენმა არტილერიამ გაფანტა ოსმალთა ქვეითი ჯარი. დაიარის რაიონში ჩვენმა მზვერავმა რაზმმა ოსმალთა სადარაჯო რაზმს შეუტია, ბევრი მათგანი დახოცა და დანარჩენი ტყვედ წამოიყვანა. ენჯალუს რაიონში ოსმალთა ცხენოსნებმა მოინდომეს ეფრატის მარცხენა ნაპირზე გადმოსვლა, მაგრამ უკუგდებულ იქნენ. ოსმალებმა გასწმინდეს კორმუნჯის პოზიციები და აჩქარებით უკან იხევენ. ჩვენი ჯარი კვალდაკვალ მისდევს მათ. ვანის რაიონში ჯაზაჩოა რაზმმა [illegible] ციები განდევნა სოფელ დიზოდან. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

პეტროგრადი, 8 ივლ. ოფიციალი. მთავარსარდლის შტაბისაგან. 7 ივლისს რიგა-შავლის რაიონში ბრძოლა იყო მიტავის დასავლეთით და სოფელ იანიშკისკენ მომავალ გზებზე. ნარევის ნაპირებზე მტერმა ზარბაზანი დაუშინა ოსტროლენკას და ცდილობდა წინ წამოწევას როჟანის ხიდის სიმაგრისკენ როჟანისა და პულტუსკის შუა. ვისლის მარცხენა ნაპირზე მოპირდაპირემ უნაყოფოდ სცადა იერიშების მოტანა ზვოლინ-გნევაშოვის მიმართულებით. ლიუბლინის მიმართულებით მტერი ხოდელ-პიასკის ფრონტზე შეჩერებულ იქმნა. ვეპრუის ორივე ნაპირზე სოფელ სუხოდოლთან და დაბა რეიოვეციისკენ 7 ივლისს მოხდა მეტად მწვავე ბრძოლა, რომელმაც დაღამებამდე გასტანა. ზოგ ადგილას გერმანელებს ფეხი მოვაცვლევინეთ და დიდი ზარალი მივაყენეთ. ვოისლავიცედან გრუბეშოვამდე ამავე ღლეს გაგრძელდა ბრძოლა და საარტილერიო სროლა ბუგის მარჯვენა ნაპირზე გადმოსულ მოპირდაპირეს ლიტოვიუ-სოკალ-პოტურჟიცეს ფრონტზე ოდნავ უკან დავახევინეთ და 1000 ტყვე წამოვიყვანეთ. სხვაგან შესამჩნევი არაფერი მომხდარა.

პეტროგრადი, 8 ივლისი. ოფიციალი. მთავარსარდლის ბრძანება ორი ივლისის თარიღით № 52. მთავარ-სარდალმა ბრძანა: დაბა ბარანოვიჩსა და მის არე-მარე 10 ვერსის მანძილზედაც გავრცელდეს მთავარსარდლის იმ ბრძანების პირველი პუნქტის ძალა, რომელიც გამოიცა მიმდინარე წლის 20 მაისის თარიღით № 37 და აკრძალულია მიმოსვლა, თუ საამისოდ სათანადო მოწმობებს არ წარმოადგენენ. ბრძანებას ხელს აწერს მთავარსარდლის შტაბის უფროსი ინფანტერიის გენერალი იანუშკევიჩი.

პეტროგრადი, 8 ივლისი, ოფიციალი. მთავარსარდლის შტაბისაგან: ღლეს მთავარსარდლის სადგომში პარაკლისი გადაიხადეს მის იმპერატორებით უმაღლესობის, მისივე შტაბისა, ჯარის ნაწილებისა და მრავალი მლოცველის თანადასწრებით. პარაკლისის შემდეგ მთავარსარდალმა მიმართა მისდამი რწმუნებულთ ჯარს და ფლოტს ასეთის ბრძანებით: „ღლეს, ყაზანის ღვთისმშობლის ხატის ღლესასწაულის ღღეა, ნებითა ხელმწიფე იმპერატორისა და უწმიდესი სინოდის განკარგულებით მთელს რუსეთში ლოცვას იტყვიან ღვთისმშობლის საკურთხეველის წინაშე, რათა მან გამარჯვება მოუვლინოს სრულიად რუსეთის მხედრობას. ღრმად მრწამს, რომ ლოცვა ხელმწიფისა და მათთან ერთად მთელი ხალხის ყურადღებული იქნება უფალ ღმერთის მიერ. მთელი რუსეთი შეერთდა, რათა ჯარს მიაწოდოს სამხედრო მასალა მტრის დასამარცხებლად. გვახსოვდეს, რომ მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის თვითმპყრობელ ნებისაებრ ჩემდამი რწმუნებული გმირული ჯარი და ფლოტი, რომ მეფე და მასთან მთელი რუსეთი ლოცვით და გარჯით გვეხმარებიან,—ვიქონიოთ ამის შეგნება და მამაცობითა და ახალი გმირებით გამოვხატოთ ჩვენი მადლობა. ჩვენთან არს ღმერთი და მისი ყოვლად შემძლე შემწეობა, ხოლო ჩვენშია რწმენა და ამ რწმენათა გამარჯვების წინდი“.

პეტროგრადი, 8 ივლ. ოფიციალი. უმაღლესი ბრძანება უმართებულეს სენატისადმი სახელმწიფო საბჭოსი და სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის შესახებ: „სახელმწიფოს ძირითად კანონთა მე-89 მუხლის ძალით ვბრძანებთ სახელმწიფო საბჭოს და სახელმწიფო სათათბიროს მუშაობა განახლდეს 19 ივლისს 1915 წელსა. უმართებულესი სენატი ამის შესასრულებლად მოახდენს შესაფერ განკარგულებას.

ბრძანებას მათი იმპერატორობითი უდიდებულესობის ხელით აწერია: „ნიკოლოზი“. ცარსკოე სელო, 8 ივლისი 1915 წელი. შეამოწმა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ სტატს-სეკრეტარმა გორემიკინმა.

ბუქარესტი, 7 ივლ. ოფიციოზი „ვიკტორული“ კატეგორიულად უარყოფს გაზეთ „ეპოხის“ ცნობას, თითქოს გერმანელ ოფიცერთა და ინჟინერთა დიდძალი ჯგუფები ყოველ-ღლე რუმინიით ოსმალეთში მიდიოდეს, და თითქოს თან წაღებულ ბაგაჟს მთავრობის აგენტები არ ათვალიერებდნენ, თანაც ბაგაჟად გაჰქონდენ აკრძალული სამხედრო კონტრაბანდა. „ვიკტორული“ დასძენს, რუმინიის მთავრობას უფლება არ აქვს რუმინიით გავლა აუკრძალოს იმ უცხოელებს, რომელთაც სათანადო პასპორტები აქვთ. რაც შეეხება ბაგაჟს, მთავრობის აგენტები მას გულდასმით ათვალიერებენ.

ლონდონი, 7 ივლისი. მთავრობამ კანონი შეიტანა პარლამენტში შესახებ ერთ მილიარდ ნახევარ მანეთის გადადებისა დამატებითი სამხედრო კრედიტისთვის, რაიცა წინანდელთან ერთად შეადგენს ექვს მილიარდ ნახევარ მანეთს.

კიევი, 6 ივლ. სამხედრო-სამრეწველო კომიტეტი ოთხ სექციას შეიცავს: ქიმიურს, მექანიკურს, ფიზიკურს და ფიზიკო-მექანიკურს. მოქმედების განსამტკიცებლად შეგროვდა საგარანტიო ფონდი, რომელშიაც ტერეშენკომ და ბროცკიმ თითოთითო მილიონი მანეთი შეიტანა,—ხოლო საგუბერნიო ერობამ ნახევარი მილიონი,

სოფია, 4 ივლისი. „მირის“ სიტყვით, თავადი გოგენლოე სოფიაში განსაკუთრებული მისიით ჩამოვიდა. თავადის აზრით, ბულგარეთს შეუძლია დიდი როლი ითამაშოს ამ საერთო ომში. ავსტრია-უნგრეთი სერბიას არაფერს დაუთმობს, ვიდრე ბულგარეთი საბოლოოდ არ გამოარკვევს თავის გადაწყვეტილებას. თავადი ირწმუნება, თუ ბულგარეთი სერბიის წინააღმდეგ გამოვა, რუმინია მას ხელს არაფერში შეუშლისო. გაზეთი „დნევნიკი“ ირწმუნება, თავადი გოგენლოე განსაკუთრებული მისიით მოდის სოფიაში, იგი შეეცდება ხელი შეუწყოს ბულგარეთისა და ოსმალეთის შეთანხმების საქმეს.

რომი, 7 ივლისი. მთავარი სადგომი ჯარისა იუწყება: იზონცოს მთელ ფრონტზე იტალიელები წინ მოიწევიან. სამხედრო ოპერაცია მეტის წარმატებით უფრო კარსიკოს ფრიალოზე მიმდინარეობს. მზის დასვლამდის იტალიელებმა ხელთ იგდეს 500 ტყვე, რომელთა შორის ხუთი ოფიცერი ურევია და დაიჭირეს რამდენიმე სანგარი. მიუხედავად საერთო მოქანცულობისა, რაიცა შედეგი იყო კარგა დაღამებამდე წარმოებულ მედგარი ბრძოლისა, იტალიელები შემაგრდნენ დაჭერილ პოზიციებზედ და მთელი ღამის განმავლობაში იგერიებდნენ მტრის კონტრ-იერიშებს. ბრძოლა არ შეწყვეტილა.

პარიზი, 7 ივლისი. საღამოს 11 საათის ოფიციალი ცნობა: რეიმსს გერმანელებმა ზარბაზნები დაუშინეს. მოკვდა რამოდენიმე მშვიდობიანი მოქალაქე. ცხარე საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს მაასსა და მოზელს შუა, ეპირჟში ფეანგესა და ლეპრეტრის ტყის რაიონში. 6 ივლისს ღამით ფრანგების დირიჟაბლმა ოცდა სამი ყუმბარა დააყარა რკინის გზის სადგურსა და სამხედრო მასალის საწყობებს ვინიელ-ლე-კატოშატელში. ამ ოპერაციების შემდეგ დირიჟაბლი სრულიად უვნებლად დაბრუნდა.

პარიზი, 6 ივლ, საღამოს ოფიციალი ცნობა. სუშეს გარშემო გააფთრებულ საარტილერიო ბრძოლაში ქვეითა ჯარს მონაწილეობა არ მიუღია. არრასს გერმანელებმა ყუმბარა დაუშინეს. არგონებში ხელით სასროლ ყუმბარებით სწარმოებს ბრძოლა. გერმანელებმა მაასის მარჯვენა ნაპირზე ორჯერ სცადეს შემოტევა, მაგრამ დიდის ზარალით უკუგდებულ ქნენ. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა. ერთმა ჩვენმა ჰაეროპლანმა ტყვიისმფრქვეველის საშუალებით, ჩამოაგდო მოწინააღმდეგის ჰაეროპლანი.

რომი, 6 ივლ. საზღვაო გენერალურ შტაბის ცნობა: როდესაც ჩვენი გემები უკან ბრუნდებოდნენ, მათ თავს დაესხა გერმანელების წყალქვეშა. პირველ შეტევას გადაურჩა „გარიბალდი“, მაგრამ შემდეგ ჩაიძირა წყალქვეშასგან ნასროლ ნაღმით. მეზღვაურებმა შეინარჩუნეს სრული სიმშვიდე და სანამ ზღვაში გადახტებოდნენ, რამდენჯერმე დაიყვირეს: „გაუმარჯოს მეფეს“. მეზღვაურთა უმრავლესობა გადაარჩინეს.

სტოკჰოლმი, 7 ივლისი. იმის სამაგიეროდ, რომ შვეიცის ბანკებმა კრედიტი გაუხსნა, გერმანიის მთავრობამ სპეციალი ნებართვა გამოსცა შვეიცისათვის; ამ კანონის ძალით შვეიცია გაიტანს გერმანიიდან თავის ეროვნულ მრეწველობისათვის ყველა საჭირო მასალას, სხვათაშორის, ათ მილიონ კრონის ქვანახშირს, ორ მილიონ კრონის ანილინის საღებავს, ცინკს, კალა-ქვას და სხვა საექიმო პროდუქტებს. ფულის კურსიც გადაჭრილია: 80 კრონი 100 მარკად გადის.

პარიზი, 7 ივლისი. ღლის სამი საათის ოფიციალი ცნობა. ცხარე საარტილერიო ბრძოლა იყო გასულ ღამის განმავლობაში არტუაში. სუშესა და ნევილ-სენვაასტის გარშემო. იმავე ღამეს კარლეილის კოშკის არე-მარეში მოპირდაპირენი ხელით სასროლი ყუმბარების საშუალებით იბრძოდენ. მდინარე ენის ველზე დიდი საარტილერიო ბრძოლა იყო. გერმანელებმა სუასონს ზარბაზანი დაუშინეს. მაასის მარჯვენა ნაპირზე მეტის-მეტი შფოთიანი მდგომარეობა იყო მთელი ღამის განმავლობაში, თუმცა ქვეითა ჯარებს შეტაკება არ მოსვლია, თუ სახეში არ მივიღებთ კოლონის სანგრებს, სადაც გერმანელებმა ორჯერ უშედეგოდ სცადეს ფრანგების წინააღმდეგ იერიშის მოტანა. ლეზიერის სამხრეთით რკინის გზის სადგურ ბალ-რანჟეს ოთხმა ფრანგმა ავიატორმა ორმოცდა რვა ყუმბარა დააყარა. ექვსი ჰაეროპლანისგან შემდგარმა ესკადრამ ყუმბარები დაუშინა კოლმარის რკინის გზის სადგურს. ყუმბარები ესროლეს აგრეთვე შენობებს და

რკინის გზებს. ავიატორებმა შენიშნეს, რომ საქონლის საწყობს და რკინის გზის ერთ ვეებერთელა სადგურს დიდი ზარალი მოუვიდა. არც ერთი ყუმბარა ქალაქში არ ჩამოვარდნილა. ავიატორები უვნებლად დაბრუნდნენ.

ლონდონი, 7 ივლისი. „ტაიმსი“ იუწყება: დიდ ბრიტანიისადმი მიმართულ ნოტაში შეერთებული შტატების მთავრობა ხაზ-გასმით ამბობს, ყოვლად შეუძლებელია ამერიკის მოქალაქეთა უფლება შეიბორკოს მეფის საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებით, თუ სამუნიციპიო სავალდებულო დადგენილებით. შეერთებული შტატების მთავრობა დასძენს აგრეთვე, რომ იგი ვერ შეიწყნარებს საპრიზო სამართლის გადაწყვეტილებას და ვერც ამ სასამართლოს უთანხმოებას საერთაშორისო უფლებასთან.

ჟურნალ-გაზეთებიდან

საჭირო განმარტება.

ვარშავის გაზეთებში დაბეჭდილია ცნობა, რომელიც მოქალაქეთა კომიტეტს მიუღია სენატორ ნეიდგარტისაგან. თანახმად მოქალაქეთა კომიტეტის მოხსენებისა, რომელიც შეეხებოდა ქალაქიდან მოქალაქეთა გასვლის საკითხის გამორკვევას, სენატორმა ნეიდგარტმა ამის თაობაზედ მიმართა მთავარსარდალს.

ეხლა ნეიდგარტი იტყობინება, მთავარსარდალმა ბრძანება გასცა ჯარებს, რომ მხოლოდ ომის საჭიროების გულისათვის მიმართონ ნათესობისა და შენობების განადგურებას. ადგილიდან მთელი ხალხის აყრა და წასვლა არაა სავალდებულო და სასურველი, ოღონდა სამუშაოდ შეიძლება გაწვეულ იქნას მამაკაცები თვრამეტიდან ორმოცდა ხუთ წლამდე. ხოლო თვის ნებით მიმავალი ხალხის გადაყვანის საქმე უნდა წინასწარად იქმნას მოგვარებული და განსაზღრულ რაიონებში უნდა იგზავნებოდენო.

ვილსონი და გერმანიის წყალქვეშა ნავების მოქმედება.

ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტი, როგორც ამბობენ, მომხდარ უბედურებას გერმანიას არ აზღვევინებს, ოღონდა მომავალში წყალქვეშ ბრძოლამ ახალი მსხვერპლი არ გამოსწიროს ამერიკას.

———

თავის საპასუხო ნოტაში, რომელსაც ამერიკა ამ დღეებში გერმანიას მიართმევს, ამერიკა გადაჭრით ამბობს თურმე, რომ მას განსაკუთრებული პოზიცია უჭირავს რაც შეეხება წყალქვეშა ბრძოლას და ზედმეტად მიაჩნია ამის თაობაზე გაუთავებელი დიპლომატიური მიწერ-მოწერა.

პოზნანში ვილჰელმის მოსვლის მიზეზი.

ერთი წყაროდან ირწმუნებიან, ვილჰელმი პოზნანს იმიტომ მოვიდა დ იქონია საუბარი გენერალ ჰინდენბურგთან, რომ გაეფანტა გავრცელებული ხმები თითქოს იმპერატორსა და გენერალს შორის შავ კატას გაერბინოსო. მეორე წყაროდან მოსული ცნობები კიდევ სხვას ამბობენ: პოზნანში იმპერატორის მოსვლას ეს სადემონსტრაციო ხასიათი როდი ჰქონდაო, და რომ ეს ასეა, გერმანიის მტრები ამას მალე დაინახავენო.

გალიციაში დროებით შეჩერდა რკინის გზის მოძრაობა.

გერმანიის სამხედრო უწყებამ შეს წყვიტა საქონლის გადაზიდვ-გადმოზიდვა იმ სარკინისგზო რაიონში, სადაც დგას გენერალი ლიცინგენი, რომელიც სარდლობს ავსტრია-გერმანიის ჯარის მარჯვენა ფრთას. ამის გამო რკინის გზის მოძრაობა შესწყდა მთელს გალიციაში.

მაკენზენის წერილი.

„Berliner Tageblatt“-ში დაბეჭდილია მაკენზენის წერილი, რომელიც მიმართულია არგენტინის გენერლის ნაციკაიასადმი. მაკენზენი აღნიშნავს ვილჰელმის მშვიდობიაობის მოყვარე ბუნებას და გამოსთქვამს იმ აზრს, რომ ეხლანდელი ომი ინგლისმა გამოიწვიაო. წერილში რუსებსაც ეხება, რომელსაც სერიოზულ მოპირდაპირედ სთვლის და ბოლოს გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ ამ მსოფლიო ომიდან გერმანია ძლევა-მოსილი გამოვაო. „სამართლიანობა და ლოღიკა ჩვენს მხარეზედ არისო“, დაასკვნის გენერალი მაკენზენი.

ოსმალეთი დაუყვიათ.

რომის ყოფილი გერმანიის ელჩი მიუნხენის ერთ-ერთ გაზეთში სწერს: ინგლისი და რუსეთი დარდანელის შესახებ შეთანხმდენ უფრო ადრე, ვიდრე ინგლისისა და საფრანგეთის ექსპედიცია გაიგზავნებოდა. ინგლისმა და რუსეთმა დაიყვეს მახლობელი აღმოსავლეთიო. რუსეთმა მიიღო მოქმედების თავისუფლება ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე, უნგრეთში და გალიციაში და აფართოვებს თავის სახელმწიფოს ტერიტორიას ოსმალეთის სომხეთის შემოერთებით. შავი ზღვაც მის საკუთარ დაკეტილ ზღვად გადაიქცევა. ინგლისი ბატონობს მცირე აზიაში, სირიაში, არაბეთში და მესოპოტამიაში. ამნაირად ოსმალეთის იმპერია ინგლისისა და რუსეთის ბატონობის ქვეშ უნდა ყოფილიყო. რუსეთის გავლენის სფეროში მოექცეოდა შავი ზღვის სანაპირონი, ხოლო ინგლისისაში—ხმელთაშუა ზღვისა. ინგლისი აფართოებდა ეგვიპტის საზღვრებს, რათა უკეთ გაემაგრებინა სუეცის არხი, თანაც ეგეის ზღვაში მოქმედების თავისუფლება მიინიჭა.

ლოძი.

ქალაქში გერმანელებმა გამართეს სულშემხუთი ბოლის დამამზადებელი ქარხანა.

გერმანელები სოსნოვიცაში.

სოსნოვიცაში, რომელიც რკინის გზათა უმთავრესი კვანძთაგანია, გერმანელებმა მრავალი ახალი გზა დააგეს ნახშირიან ადგილებს შორის, ნახშირის გასაზიდად. შახტებში სპეციალ მემაღაროეთა გარდა ისინი ფრანგ და ინგლისელ ტყვეებს ამუშავებენ. დიზელის ადგილობრივი ქარხანა, გამპერის და ფიტუნერის საქვაბო და სამანქანო ქარხნები გერმანიის ჯარისთვის სამხედრო სურსათს ამზადებენ.

რუსეთ-სერბიის ურთიერთობა.

ყოველთვის, როცა ავსტრია მოისურვებდა სერბიასთან შერიგებას, ავსტრია-გერმანული პრესა მოჰყვებოდა ხოლმე იმის მტკიცებას, რომ „ეგოისტმა“ რუსეთმა სერბია ბედის ანაბარად მიაგდოო. სერბიის უარის შემდეგ შესახებ შერიგებისა პრესა გაჩუმდებოდა ხოლმე. ეხლა მან ისევ მოუხშირა ამავე საგანზე წერას და საბაბად მოიდო ის ამბავი, ვითომ რუსეთის ელჩი სერბიაში ტრუბეცკოი სამსახურს თავს ანებებდეს. „ფოსიშე ცეიტუნგი“ ერთ წერილში—„თავმინებებული სერბია“ ამტკიცებს, რომ რუსეთი მზად არის სერბია ღვთის ანაბარად გაუშვას, რადგან: 1) სერბიისა და იტალიის ინტერესები ერთმანეთს არ ეთანხმებიან, რუსეთისთვის კი იტალია უფრო საჭიროა ვიდრე სერბია; 2) სერბიისა და ბულგარეთის ინტერესების შერიგება შეუძლებელია, რუსეთი კი არაფერს ერიდება ოღონდ ბულგარეთი დაიხმაროს დარდანელში. ამასვე სცდილობს იტალია, რომელსაც ერთის მხრივ ბულგარეთის დახმარებით სურს სერბიის შესუსტება, ხოლო მეორე მხრივ—მორალურად თავს აარიდებს მოკავშირეებს, რომელნიც იტალიას დახმარებას სთხოვენ დარდანელში. („რეჩ.“)

გერმანელთა ზარალი.

გერმანიამ გამოაცხადა შემდეგი სტატისტიკა დაჭრილთა შესახებ.

1914 წ.	განკურნა	გარდაიცვ.	დაუთხოვნ.
აგვისტო	85%	3%	12%
სექტემბერი	88 „	2,7	9,3
ოქტომბერი	89 „	2,4	8,6
ნოემბერი	87 „	2,1	10,9
დეკემბერი	88 „	1,7	10,3
1915 წ.			
იანვარი	89 „	1,5	9,5
თებერვალი	89 „	1,3	9,7
მარტი	89 „	1,6	9,4
აპრილი	91 „	1,4	7,6
საშუალოდ:	89%	2%	9%

გერმანელთა ლიგა „ახალი სამშობლო“

„Temps“ ს ატყობინებენ, რომ გასულ წლის ნოემბერში გერმანიაში დაარსდა ლიგა სახელად „ახალი სამშობლო“. იმ დროს, როდესაც ლიგა დაარსდა, უკვე თვალსაჩინო იყო პარიზისკენ მიმავალ გერმანიის ჯარის დამარცხება. ლიგაში მონაწილეობის მიღება შეუძლია როგორც ქალებს, ისე კაცებსაც, მიუხედავად მათი პოლიტიკური და სარწმუნოებრივი მიმართულებისა. ლიგის მიზანია, ყოველგვარ საშვალებით ხელი შეუწყოს განათლებულ ხალხთა როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიურ დაახლოვებას. ლიგაში ბევრი გამოჩენილი გერმანელი და ავსტრიელი მეცნიერებია ჩაწერილი, როგორც დელბრიუკი, ლისტი, ლიამპრეხტი, ლამაში, შიუკინგი, ეკონომისტი ბრენტანო, სოციოლოგი ტენნესი, ნიპპოლდი, პროფესორი ზიპერი. გარდა სწავლულ-მეცნიერთა, ლიგაში მონაწილეობას იღებენ საქმის კაცებიც. „ტემპსი“ ეხება ლიგის მიზანს და სწერს: ნამდვილი ტენდენცია გამომდინარეობს იმ უცხო ქვეყნების ორგანიზაციათა სიიდან, რომლებთან დამოკიდებულება აქვს ამ ლიგას. ამ სიაში შედის არამც თუ ჰოლანდელ პაციფისტებთა ლიგა და მჭიდრო მშვიდობიანობის დამფუძნებელი ბერნის კომიტეტი, არამედ დემოკრატიულ კონტროლის კავშირი, რომელიც ინგლისში დააარსა დამოუკიდებელ სოციალისტთა პარტიის ლიდერმა მაკდონალდმა.

ბელოსტოკში.

ამ რამდენიმე დღის წინ დილის 6 საათზე ბელოსტოკში გერმანიის ჰაეროპლანი გამოჩნდა. ჰაეროპლანს შრაპნელის ცეცხლით გაუმასპინძლდენ და ის იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო, მაგრამ ორი წუთის შემდეგ ისევ გამოჩნდა. მას ხელახლა დაუშინეს ტყვიისმფრქვეველები და თოფები, ჰაეროპლანი ისევ მიიმალა.

„რუსკოე სლოვო“-ს პეტროგრადიდან ატყობინებენ, რომ ბალტიის ზღვაზე ყოველდღე გერმანიის რამოდენიმე გემი გამოჩნდება და ისევ მიიმალებაო“.

———

ვოლინის გუბერნიის იმ მაზრებიდან, რომლებიც საზღვარს უახლოვდებიან, და კიევის გუბერნიიდან გერმანელ კოლონისტებს ასახლებენ ციმბირში.

———

მოსკოვის პოლიციისადმი განკარგულებაში სწერია: რადგანაც ამ ბოლო დროს გახშირდა მუშების მიერ მუშაობის შეწყვეტა იმ ქარხნებში, რომლებიც საომარ მასალას ამზადებენ, წინადადება ეძლევა ბოქაულთ, განუმარტონ მუშებს, რომ ასეთი საქციელი დანაშაულია და მასთან დამასუსტებელი რუსის ჯარისა. მუშაობის შეწყვეტა უმალვე უნდა ეცნობოს პროკურორს.

———

„რანნეე უტრო“-ს ატყობინებენ, რომ მოსკოვის სასულიერო სფეროში სამარინის დანიშნას რასპუტინის გავლენის დაკარგვას აწერენო.

———

ლონდონიდან დეპეშით იუწყებიან: 7 ივლისს საღამოს გაზეთებმა დაადასტურეს ავსტრია-გერმანიის მუქარა ბუქარესტში და ის მოთხოვნილება, რომელიც ავსტრია-გერმანიამ რუმინიას წარუდგინა ე. ი. რუმ[illegible] საომარ მასალის თავისუფალი გა[illegible]ვა ოსმალეთში. რუმინიის პასუხი კატეგორიული და უარყოფითია. დიდძალი საომარი მასალა დაკავებულია რუმინიის საზღვარზე. ავსტრია-გერმანიის მოსალოდნელი ულტიმატუმი, როგორც თვით რუმინიაში ფიქრობენ, დაკავშირებული იქნება ავსტრია-გერმანიის ჯარის სამხედრო დემონსტრაციასთან, რომელიც რუმინიის საზღვრების გასწვრივ მოხდება.

———

ინგლისში მომავალ სექტემბრიდან სავალდებულო სამხედრო ბეგრის შემოღებას ფიქრობენ.

პოლიტიკური კრებების აკრძალვა.

გენერალმა ჰინდენბურგმა გერმანელთა მიერ დაჭერილ პოლონეთში აკრძალა პოლიტიკური ხასიათის კრებები, კერძო თუ საზოგადო. სხვაგვარ კრებების გასამართავად ხუთი დღით ადრე პოლიციისაგან ნებართვა უნდა აიღონ.

სომხების აჯანყება ოსმალეთში

ათინიდან „ბირ. ვედ.“ ატყობინებენ. სტამბოლიდან მოსული ცნობით, ივნისის პარველ რიცხვებში ხარპუტში სომეხთა აჯანყება მოხდა, რომელმაც შემდეგში ფართე ხასიათი მიიღო. რევოლიუციონერებმა დაატყვევეს მთავრობის წარმომადგენელნი, დაეპატრონენ მთავრობის და საზოგადო დაწესებულებებს. მაგრამ ექვსი დღის შემდეგ დიარბექირიდან მოსული ოსმალთა ჯარი სომხების მასსიურ ჟლეტას შეუდგა.

ახალი საგლეხო კანონი

ოფიციალურმა გაზეთ „კავკაზმა“ გუშინწინ გამოაქვეყნა რუსული ტექსტი 26 ივნისს დამტკიცებულის საგლეხო კანონისა. ჩვეულებრივად გაზეთს დაავიწყდა, ან არ მოისურვა დაბეჭდვა რუსულის ტექსტის თარგმანისა ქართულად. ვსთქვათ, გაზეთმა ვერ შესძლო მისი თარგმნა, თვით მეფის მოადგილის კანცელარიას რა დაემართა? როგორ მოუვიდა ასეთი უყურადღებობა, ძნელი გამოსაცნობია. კანონი ეხება გლეხთა ბედს, სცდილობს წაღმა მიმართოს მათი საქმენი და თუ თვით გლეხი ვერ წაიკითხავს, ვერ ჩაუკვირდება და ვერ შეისმენს მის ძალა-მნიშვნელობას, კანონს დაეკარგება მნიშვნელობა, ფასი. ეს შეუწყნარებელი ცოდვაა და ეხლავე უნდა შესწორდეს, საზოგადოდ კი ადათად უნდა დაიდოს მომავლისათვის, რომ ოფიციალურ ტექსტს კანონისას მუდამ თან სდევდეს მისი რიგიანი თარგმანი.

ახალი საგლეხო კანონი შეიცავს სულ სამს მუხლს. პირველი აკანონებს, რომ დღეიდან სოფლის ყრილობაზე უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა ყოველ ოჯახის უფროსს, თუნდაც იგი კამერალიის სიაში არ იყვნენ ჯერ-ჯერობით შეტანილი. ძველსა და ახალს კანონს შორის ის განსხვავებაა, რომ დღეს ყრილობას იმ ოჯახის უფროსი ესწრობოდა, რომელიც შეტანილი იყო კამერალიაში, ხოლო ეხლა ყველა იმ ოჯახის უფროსს, ვინც ნამდვილად არსებობს, სოფელში სცხოვრობს და წევრია სოფლის საზოგადოებისა. ახალი კანონით, მაშასადამე, ფართოვდება სოფლის ყრილობების მონაწილეთა რაოდენობა. საერთო, სასოფლო საქმის გადაწყვეტა-წარმოებაში ყველა სოფლელნი მიიღებენ მონაწილეობას და გამოკლებულ-გამორიცხული აღარავინ იქნება დღეიდან.

მეორე მუხლი კანონისა უფრო საყურადღებოა. ჩვენს ქვეყანას ეძლევა ვოლოსტის მოწყობილობა. როცა სოფელი დიდია და მრავალ-ხალხიანი, ან თუ სოფლის საზოგადოება შესდგება მრავალ პატარ-პატარა სოფლიდან, სოფლის ყრილობაზე იგზავნება თითო რჩეული ყოველ ოცი კომლიდან. სავოლოსტო ყრილობაზე რუსეთი ჰგზავნის თითო რჩეულს ყოველს ათი კომლიდან. პატარ-პატარა სოფლებს (ქართულად კარს ვეძახით, მაგ. ინაანთ კარი, წინამძღვარიანთ კარი), თუნდ ოცი კომლი არ იყვეს, ეძლევა უფლება ერთი რჩეული გაჰგზავნოს სასოფლო, ანუ სავოლოსტო ყრილობაზე. ოც-ოც კომლის რჩეულნი მსახურებენ სამს წელიწადს. ყოველ წელიწადს სამსახურს თავს ანებებს ერთი მესამედი რჩეულთა. პირველ ორ წელიწადს კენჭის ყრით წავლენ რჩეულნი. შეიძლება ხელახლა არჩევა კენჭით გასულისა.

მესამე მუხლი კანონისა ანიჭებს კერძო სასოფლო ყრილობას უფლებას განაგოს ობოლთა საქმეები. ეს უფლება აქამდე [illegible] ჰქონდა სასოფლო [illegible] კენში, ხოლო რუსეთში ვოლოსტს. დღეიდან კი ამ საქმეს აწარმოებს სასოფლო კერძო ყრილობანი, დაუნიშნავენ ობლებს აპეკუნებს და მზრუნველებს, ყურს უგდებენ ობოლთა ქონებას, ანგარიშს ჩამოართმევენ აპეკუნ-მზრუნველებს და გაჰყიდიან ობოლთა იმ ქონებას, რომელიც დიდხანს არ ინახება და ადვილად ფუჭდება. ამ დადგენილების აზრი ისაა, რომ ობოლთა ქონებას დროზედ მიჰხედონ და დაიცვან განადგურებისაგან. ვოლოსტში და ჩვენებურ სასოფლო ყრილობაში საქმე ჭიანურდებოდა და ვიდრე აპეკას დაიწესებდნენ, საობლო ქონება უკვე განიავებული იყო ხოლმე. პატარა და მცირე სოფელს ადვილად შეუძლიან დროზედ შეიკრიფოს და მიჰხედოს საობლო ქონებას.

ესაა შინაარსი და დედა-აზრი ახალის კანონისა. მეფის მოადგილე ცირკულიარით უბრძანებს ამიერ კავკასიის გუბერნატორებს, (გარდა ბათომისა, ყარსისა და დაღესტნის ოლქებისა, რომელთაც ეს კანონი არ შეეხება) ეხლავე შეუდექით არსებულ სოფლების დაყოფას სავოლოსტოდ, რომ 1916 წლის პირველ იანვრიდან დაიწყონ უკვე მოქმედებაო. რჩეულთა რიცხვი სასოფლო, ანუ სავოლოსტო ყრილობაზე არ უნდა აღემატებოდეს 50 კაცს. არც ოცზე ნაკლები უნდა იყვეს. მაშასადამე, დაყოფის დროს უნდა იხელმძღვანელონ ამ მაქსიმუმ-მინიმუმით.

მეფის მოადგილეს დიდი იმედი აქვს ახალის კანონისა. დღევანდელ ყრილობებზე, როცა კრებას კამერალიაში მოქცეულ ოჯახიდან თითო ოჯახის უფროსი ესწრებოდა, სიმრავლისა გამო არაფერი კეთდებოდაო. ცარიელი ყაყანი და აურ-ზაური სუფევდა ყრილობებზე. ძვირად თუ ოდესმე ასეთი კრება კანონიერ განაჩენს ეღირსებოდა.

მეფის მოადგილე ჰფიქრობს, რომ ახალი სავალოსტო მოწყობილობა ჩვენის სოფლისა პირველი საფეხურია ერობისათვის, და როდესაც ეს მადლი მოეფინება ჩვენს ქვეყანას, სოფელი უკვე მომზადებულ-დარაზმული დახვდებაო.

ძველად სოფელს არსებულ კანონის ძალით დიდი უფლება ჰქონდა, შეეძლო ხარჯი გამოელო და საკეთილო საერობო საქმე გაეჩაღებინა, მაგრამ ვერ სარგებლობდა ამ უფლებით, რადგან მოწყობილობა და შემადგენლობა ყრილობისა არ უვარგოდა. ეს ნაკლი ითრუგნება ახალის კანონით. [illegible] ადგილობრივი სათემო, საერობო ცხოვრებაო? რამდენსამე ვოლოსტს უფლება ეძლევა შეკავშირდნენ დიდ საერთო საქმისათვის, მაგ. სამკურნალოს დაწესებისათვის,—სოფლის გარეშე მდგომ მამულის პატრონთაც ენიჭებათ უფლება ცირკულიარით მიიღონ მონაწილეობა ასეთ საქმეებში. საერობო თანხიდან ასეთს კავშირებს დახმარებასაც აღმოუჩენთო.

როგორ ისარგებლებს და გამოიყენებს ჩვენი სოფელი ახალს კანონს და ცირკულიარს, ახლო მომავალი გვიჩვენებს.

ალ. ყიფშიძე.

ბაასი

დრონი წარსულნი...

XI

სახელოვანმა რუსის მეცნიერმა მაქსიმ მაქსიმეს ძე კოვალევსკიმაც ხმა ამოიღო, მაგრამ სჯობდა კი, რომ კრინტიც არ დაეძრა. უხერხული და შეუფერებელია როგორღაც, როდესაც საანდაზო დათვი ჯერ არ მოუკლავთ, ტყავი არ გაუძვრიათ, მაგრამ უკვე ცოცხალ დათვის ტყავის გამო დავობენ.

ტრაპიზონის ვილაიეთი მომავალ არმენიას, ანუ სომხეთს უნდა მოუჭრათო.

თუ ისტორიულ უფლებას ბრძანებთ, არ გახლავთ საკუჭნაოში ასეთი საბუთი, ვინაიდგან სასომხეთოს ეს ქვეყანა ხელში არასდროს სჭერია. ნამდვილი, უტყუარი კი ესაა. მეფე თამარმა „წარგზავნა მცირედნი ვინმე ლიხთა იქითნი, ესე იგი დასავლეთ საქართველოს ლაშქარი და წარუღეს (დაიპყრეს): ლაზიკა, ტრაპიზონი, ლიმანი, სამისონი, სამსუნი, სინოპი, კერასუნდი, კატიორა, ამასტია, ერაკლია და ყოველნი ადგილნი ფეზლაღონისანი (პაფლაგონია) და პონტოსანი და მისცა ნათესავსა თვისსა ალექსის კომნიანოსსა, ანდრონიკეს შვილსა, რომელი იყო მაშინ თვით წინაშე თამარისსა შემოხვეწილი“.

ეს ამბავი მომხდარა 1204 წელს. ბერძენი ისტორიკოსი მიხეილ პანარეტი ჰმოწმობს, რომ დიდმა კომნენოსმა ალექსიმ 1204 წ. თავის მამის ძალუნა დახმარებით და ქართველ (იმერთის) ჯარით ტრაპიზონი დაიპყრაო.

ეგება ყბად-აღებული „რეალური მოსახლეობა“, რომელსაც ასე ეტრფის და ენუკვის ნაწილი ქართველ ინტელიგენციისა, ჰქმნის და სჭედავს ახალს უფლებას? სომხობა უმცირესობას შეადგენს ტრაპიზონის ვილაიეთში. მაშ რად ინება მ. მ. კოვალევსკიმ გაბოძება ვილაიეთისა, როდესაც არც ისტორიულ-პოლიტიკური უფლება და არც ეთნოგრაფია-რეალური მოსახლეობა არ გვიკარნახებს ამას? განა საკმარისია ამისათვის მარტოოდენ სურვილი ბ-ნ პ. ჯიველეგოვისა? ეტყობა, დიდი „ვინმე“ ყოფილა ეს ჯიველეგოვი, რომ მის ფეხის ხმას აჰყვა თვით მეცნიერი კოვალევსკი, და გამსუბუქდა მძიმე და უზარ-მაზარი ტანის კაცი, რომელიც საოცრად დაამშვენებდა უპირველეს საკათედრო ტაძარს, უკეთუ ინებებდა პროტო-დიაკვნობას. თვით განსვენებული ჩვენი კოტე კარგარეთელიც ვერ შეედრებოდა მაშინ მ. კოვალევსკის.

რუს- თა მხედრობა დღეს იბრძვის ჭოროხის ხეობაში, ბასსიანის სიახლოვეს. ძველად, 1206 წ.,

ქართველებმა გადიხადეს შესანიშნავი ომი აქვე ბასსიანის ადგილს, ბოლოსტიკედ წოდებულს. რუმის სულთანი რუქნადინი გადაეკიდა საქართველოს და დაიძრა მის შესამუსრად. რუქნადინს ჰყოლია 400,000 ჯარისკაცი. ვიდრე საომრად წამოვიდოდა რუქნადინი, ელჩი აახლა თამარს და შემოუთვალა: „შენ გიბრძანებია ქართველთათვის აღებად ხრმალი მუსულმანთა ხოცად; ამიტომ აწ მე წარმომივლენია ყოველი მხედრობა ჩემი და აღვხოცო ყოველი მამაკაცი მაგა ქვეყნისა და ცოცხალი იგი ოდენ დარჩეს, რომელი წინამომეგების, თაყვანი სცეს ჩათრსა ჩემსა... ჯვარი წინაშე ჩემსა დალეწოს და მაჰმადი აღიაროსო“...

ასე ეწერა წიგნში. ბატონსავით უზრდელმა და ბრიყვმა მოციქულმა ესეც მოახსენა თამარს აუდენციის დროს: „უკეთუ მეფემან (ე. ი. თამარმა) დაუტეოს (დაუტიოს) სჯული, იპყრას სულთანმან ცოლად და უკეთუ არა დაუტეოს სჯული, იყოს ხარჯად (ესე იგი ხასად) სულთანისაო“.

ვერ აიტანა ასეთი კადნიერება ელჩისა ამირ-სპასალარმა ზაქარია მხარგრძელმა და „უხეთქა ხელითა პირსა“. ეს „ხეთქება პირსა“ ისეთი ძლიერი ყოფილა, რომ მოციქული მკვდარსავით დაცემულა ძირს. წამოყენებულს მოციქულს ამირ-სპასალარმა გამოუცხადა; „თუ მოციქული არა იყავ, პირველად ენისა აღმოკვეთა იყო შენი სამართალი და მერმე-ღა თავისაო“. მაინც ბრიყვი მოციქული შინ გაისტუმრეს, პატივით „შემოსეს და ნიჯი უბოძეს და წარგზავნეს პასუხითა მწვავითა“.

ბოლოსტიკეს ბრძოლაში მთელმა საქართველომ მიიღო მონაწილეობა. ჯარი შეიკრიბა „ნიკოფსით დარუბანდამდის“ (დერბენტი). ქართველ მხედრობას განაგებდა დავით სოსლანი. ჯარსავე გაჰყვა მანდატურთ უხუცესი ჭიაბერი. წინამებრძოლ ლაშქარს უფროსობდა ზაქარია მხარგრძელი და „ორნიცა იგი ძმანნი ახალციხელნი შალვა და ივანე“. შეკრებილი ჯარი თამარმა დალოცა ვარძიას და ცრემლით შეავედრა ღვთისმშობელს დავით სოსლანი, სპა მისი და დროშა. ბრძოლის შედეგის მოლოდინში თამარი დაბინავდა ოძრხეს (აბასთუმანი) და იქ „დაუცხრომელ ლოცვა-კურთხევაში“ ატარებდა დროს.

ქართველებმა დიდად გაიმარჯვეს, თუმცა კი გასჭირვებიათ საქმე. „კნინღა სივლტოლვად მოიდრიკნესო“, ამბობს მატიანე.

აუარებელი ქონება დარჩა ქართველ ჯარს და, რაც უფრო ძვირფასია, ქართველმა ლაშქარმა წაართვა მტერს სასულთნო დროშა.

ა.—ლი.

ტკბილი მასლაათი

საქართველოში დღესაც არ გამოლეულან თათქარიძენი.

ფეხმოკეცილი, კრიალოსნით ხელში, ტახტზედ სხედან, ტკბილად მასლაათობენ და იგონებენ იმ ბედნიერ დროს, როდესაც საქართველოში გირვანქა ხიზილალა ხუთი შაური ღირდა და დიდის წყურვილით მოელიან ამ იდილიურ დღეების დაბრუნებას.

„სახალხო ფურცლის“ დღევანდელი თათქარიძეებიც ზარმაცულად იზმორებიან თავის სარედაქციო სავარძელში, მასლაათობენ და ნაღვლიანად მოსთქვამენ

„სახალხო ფურცლის“ პოლიტიკური მემასლაათე ბ-ნი სიტყვა აგონებს ქართველ მკითხველს 1876 წელს, გაზეთ „დროების“ ბედნიერ ხანას, როდესაც ამ გაზეთის ათი წლის იუბილეის გამო გაიმართა საიუბილეო სადილი სომხების თანადასწრებით და მათ წარმომადგენელმა აბ. იოანესიანცმა ქართველ-სომეხთა სოლიდარობაზე სიტყვა წარმოსთქვა: „ძალა შეერთებაშია... ჩვენ, წარმომადგენელნი ქართველი და სომხის ხალხისა, შევკრებილვართ აქ დღეს ქართული გაზეთის 10 წლის არსებობის სადღესასწაულოდ. ბატონებო, ყველანი დამეთანხმებით, რომ ჩვენს შეერთებაში არის ძალა, მართალია ჯერ მცირე, მაგრამ ისეთი, რომელიც შემდეგში შეიძლება გადიდდეს“...

ბ-ნ იოანესიანცის ამ ტკბილმა სიტყვამ ისე აუშალა საღერღელი ჩვენს ბ-ნ „სიტყვას“, რომ სრულიად მოულოდნელად გამოექანა ქართველობისაკენ

და გულისწყრომით დასძინა: „ჩვენი უკეთესი მომავალი უნდა აეგოს არა მტრობასა და ბოროტებაზე, არამედ მეზობლების თანხმობასა და სოლიდარობაზე“.

ცნობილია, რომ „სახალხო ფურცლის“ მოყვითალო სოციალისტებს თავის „ფესვების გასამაგრებლად“, დიდ საკითხების გამოკვლევის დროს, არა ერთხელ ტკბილ მასლაათებისათვის და შეთხზულ ცილისწამებისათვის მიუმართნიათ.

პირველით—აძინებენ, მეორეთი—აშინებენ.

ქართველ-სომეხთა ურთიერთობის გასოულებულ საკითხის გამოკვლევაში ამათ ხერხს მიმართეს.

მაგრამ დავუბრუნდეთ ამ „ტკბილ მასლაათებს“ და ჩვენც „სიტყვასავით“ წარსულიდან მოვიგონოთ ორი ფრიად საინტერესო წუთი ქართველ-სომეხთა შეხვედრისა.

გაზეთ „დროების“ ხსენებულ იუბილეის წორედ ოცდაათი წლის შემდეგ, 1906 წ. ქართველმა მემასლაათე ინტელიგენციამ თავი მოიყარა ვანქის სობოროს გალავანში.

ქართველობას და მრავალ სომხობას ჟრიამული გაჰქონდათ.

ჩვენი ნაცნობი ბ. „სიტყვა“, მაღალ მაგიდაზე შემდგარი მჭევრმეტყველურ ქადაგის სახით მოუწოდებდა დამსწრეთ შეერთებას, სოლიდარობას, ძმობას.

ტაშის გრიალით, ვაშას ძახილით დაუხვდა ქადაგს დამსწრე საზოგადოება.

ნიშნად ძმობისა, ბ. „სიტყვამ“ მის გვერდზე მდგომ პირველსავე სომეხს გადაეხვია და აკოცა.

აკოცა ისე, როგორც გუშინ-წინ პ. მილიუკოვმა—ვინავერს.

და როგორც გაზ. „დენ“-მა შენიშნა, რომ მილიუკოვის კოცნა ებრაელებს არ უშველისო, ისე ჩვენც დარწმუნებული ვიყავით, რომ „ტკბილი მასლაათებით“ და ხვევნა-კოცნით ქართველ-სომეხთა რთულ ურთიერთობას სასურველ კალაპოტში ვერ ჩააყენებდა.

ასეც მოხდა.

აღიმართა ულმობელი სინამდვილე და ჭეშმარიტება, რომ საკითხი ქართველ-სომეხთა ნორმალურ ურთიერთობის დამყარებისა სანტიმენტალიზმის საზღვარს დიდი ხანია გადასცილდა.

დ. კახელი.

ახალი ამბავი

✦ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მიერ გაგზავნილი ფერშალი ბ-ნი გ. კაჭახიძე უკვე მივიდა აჭარაში და მუშაობას შეუდგა. როგორც ბ-ნი კაჭახიძე იტყობინება, აჭარაში ბევრია ავადმყოფი ქალი, რომელნიც, ჩვეულების მიხედვით, მამაკაცს არ ეჩვენებიან. ამიტომ საჭირო‌ა ფერშალი-ქალის გაგზავნა.

✦ თბილისის გუბერნიის მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტმა განსაკუთრებული კომისია აირჩია კონდოლის (კახეთშია) ამერიკულ ვაზის სანერგის დასათვალიერებლად და თავისი აზრის გამოსათქმელად იმის შესახებ, ამ სანერგის დატოვება იქვე შეიძლება, თუ იგი გადატანილ უნდა იქნას სხვა ადგილას. ეს საკითხი დაჰბადა იმ გარემოებამ, რომ უკანასკნელ წყალდიდობის დროს მდ. კისისხევმა ქვიტკირის ჯებირი („დამბა“) გაარღვია და მომავალში საშიშროება მოელის სანერგეს. კომისიაში მცოდნე პირები არიან არჩეული: ს. ნ. ტიმოფეევი, პ. ნ. ავერკინი, ს. თ. ხუნდაძე, ა. თ. თუშმალაშვილი, ვ. ი. ვისნიოვსკი და ვ. ი. რცხილაძე.

✦ ფქვილის გაიაფება. ტომარა ფქვილის ფასი ათი შაურით გაიაფდა. ამიტომ ქალაქის გამგეობამ აცნობა ბ-ნ თბილისის გუბერნატორს, რომ გამომცხვარ პურის ფასის მომატებას აღარ ვთხოულობო; ხოლო როცა კიდევ დაიკლებს ფქვილის ფასი, გამომცხვარ პურის ნიხრსაც დააკლდებაო.

✦ კოოპერატივი. ახალციხეში დაარსდა მომხმარებელი კოოპერატიული ამხანაგობა „მესხეთი“. მცირე ხნის განმავლობაში ამხანაგობამ პირველად გაიწერა 4,000 მანეთის საქონელი და მეორედ 6,000-სა. ვაჭრობა გაჩაღებულია და ამხანაგები დიდს სარგებლობას მოელიან ამ დაწესებულებისაგან. მაგრამ საქმის წარმოება ჯერ-ჯერობით ძველებურ ყალიბზეა, ხოლო, ცხადია, საქმეს ესაჭიროება მკვიდრი წარმოება. ამიტომ თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო კომისიამ, თანახმად კოოპერატივის თავმჯდომარის თხოვნისა, დაადგინა, გაგზავნოს ახალციხეში ინსტრუქტორი კ. კანდელაკი, რათა „მესხეთის“ გამგეთ საქმის წარმოება ასწავლოს.

✦ საეპარქიო კომიტეტში. 8 ივლისს, საქართველოს ეგზარხოსის, მაღალ ყოვლადსამღვდელო პიტირიმის თავმჯდომარეობით კრება ჰქონდა საეპარქიო კომიტეტს, რომელსაც დაესწრნენ ეპისკოპოსი ანტონი, არქიმანდრიტი პიროსი, ნაზარი და მელქისედეკი, პ. ა. გოთუა და ი. პ. ნაკაშიძე. კრებას მოკლე მოხსენება წარმოუდგინა ეპისკოპოსმა ანტონიმ. ანგარიშიდან სჩანს, რომ კომიტეტი ქონებრივად და ზნეობრივად ეხმარებოდა 3000 გადმოხვეწილ ასირიელთ. ეს ასირიელები უკვე დაბრუნდნენ სამშობლოში, ასე რომ გადმოხვეწილ ასირიელთაგან ეხლა აღარავინ არის თბილისში. ამის გამო კომიტეტმა თავისი მოქმედება ასირიელთა შესახებ დამთავრებულად აღიარა და დაადგინა, შემდეგში თავისი ძალ-ღონით კომიტეტი დაეხმაროს ომიანობისაგან გამოწვეულს საეგზარხოსოს სხვა საჭიროებას.

✦ მამულის დათვალიერება. მცხეთის წმ. ნინოს დედათა მონასტრის წინამძღვარმა იღუმენია ნინომ სთხოვა ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, მცოდნე კაცი გამოგზავნეთ მონასტრის ზვრის დასათვალიერებლად, თუ რა დარგი მეურნეობისა უფრო სასარგებლო იქნება ხსენებულ ადგილას, რადგან ზვრის მოსავალი ბოლო დროს თანდათან კლებულობსო. საზოგადოების საბჭომ ხსენებულ ზვრის დათვალიერება და შესაფერისი ღონისძიები მიღება მიანდო თავისს ინსტრუქტორს დ. ს. გორთაბაშვილს.

✦ ქართული წარმოდგენები პროვინციაში. ერთი ჯგუფი ქართველ მსახიობთა რამდენიმე დღის შემდეგ წარმოდგენას გამართავს დუშეთში. წარმოდგენილი იქნება შალვა დადიანის პიესა „შენი ჭირიმე“. იგივე ჯგუფი შემდეგ ქალაქ გორში გამართავს წარმოდგენას. წარმოადგენენ შილერის „ყაჩაღებს“.

✦ წირვა მცხეთაში. შაბათს, 11 მკათათვეს, მცხეთის ოლღას სახელწოდების დედათა სავანეში საეკლესიო დღესასწაულია. მწირველი იქნება არქიმანდრიტი ნაზარი.

✦ კავკასიის საკურორტო საზოგადოება. 8 ივლისს, გოფმეისტერის ბ-ნ პეტერსონის თავმჯდომარეობით კრება ჰქონდა ხსენებულ საზოგადოების წევრთ. მოხსენება წაიკითხა სამხედრო-სამკურნალო ლაბორატორიის ასისტენტმა ი. დ. კუპცისმა. მოხსენებაში ის აზრია გატარებული, რომ საზოგადოებამ საზღვარგარედ კურორტებზე სიარულს თავი უნდა დაანებოს და შინაურ, საკუთარ, კურორტების მოწყობა-განვითარებას მიაქციოს მთელი თავისი ყურადღება. როგორც მოხსენებიდან სჩანს, რუსეთიდან ყოველ წელს მიდიოდა საზღვარ-გარეთის კურორტებზე 100 ათასი კაცი. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ორთა შუა რიცხვით თითო კაცი დასტოვებდა იქ 1.000 მანეთს, გამოდის, რომ რუსეთი ყოველ წელს 1 მილიონ მანეთს აძლევდა უცხო ქვეყანას. ლექტორი იმ აზრის არის, რომ ეს ფული რუსეთში დარჩება, თუ საზოგადოება მოაწყობს „გარიაჩევოდსკისა“ და „პსეკუპის“ წყლებს, რომლებიც თავისი ღირსებით დიდად არ ჩამოუვარდებიან კარლსბადის წყლებს. საქმის მოწესრიგებას ის გარემოებაც დიდად შეუწყობს ხელს, რომ ომის დაწყების შემდეგ საზოგადოდ რუსეთის საზოგადოება ძალიან გამოფხიზლდა, მაგრამ, ლექტორის აზრით, დიდად საჭიროა კერძო ინიციატივას ფართო ასპარეზი მიეცეს და არსებული წესები საქმის განვითარებას არ ეღობებოდეს წინ. მოხსენება წაიკითხა აგრეთვე კავკასიის სამკურნალო უწყების უფროსმა ბ-ნმა ფეხნერმა შემდეგი სათაურით: „სახელმწიფოს კანონები და მადნეული წყლები“. ამ მოხსენების დედა-აზრიც იგივეა, რაიცა პირველ მოხსენებისა.

✦ კანდიდატები. სასოფლო-სამეურნეო ბანკის თავმჯდომარედ, ფილიპე გოგიჩაიშვილის გარდა ასახელებენ თავ. ვ. გ. მაჩაბელს, ი. ე. გამყრელიძეს და პ. ა. გოთუას. ასახელებენ აგრედვე იმავე ბანკის დირექტორს ვ. რ. ყიფიანს, მაგრამ იგი უარს ამბობს.

✦ ფოთიდან მიღებულ ცნობებით რუსტოვიდან სოხუმში გამოვლით, ორჯელ დადის კვირაში გემები „ტარას ბულბა“ და „ლიბავა“, რომელთაც მოაქვთ საქონელი და მგზავრები გადაჰყავთ ფოთში.

✦ უმაღლესად დაჯილდოვებულ იქნენ: მესამე ხარისხის წმ. სტანისლავით: სერგო **ნადირაძე**, ალექსი **ამილახვარი**, ვასილი **ყაზბეგი**, **პარკაძე**, **დეკანოზიშვილი**, გიორგი **კოპახიძე** და ბაგრატ **ჟურული**.

მეოთხე ხარისხის წმ. ანნით (ზედ წარწერით, „სიმამაცისათვის“) რაფაელი **ჩქოტუა** და შალვა **ვაჩნაძე**.

მეორე ხარისხის წმ. ანნით ნიკოლოზი **ალექსიძე**.

მესამე ხარისხის წმ. ანნით. კონსტანტინე **შენგელია**.

✦ სურსათი. 8 ივლისს მოტანილია თბილისში: ფქვილი 7 ვაგ., შაქარი 3 ვაგ., ბრინჯი 1 ვ., ბეშა 13 ვაგ., ნავთი 1 ვ., ქვა მარილი 2 ვ., ქვის ნახშირი 1 ვ., გოგირდი 1 ვაგ., მაკარონი 499 ფ., კარტოფილი 130 ფ., კიტრი 88 ფ., წნილეული 475 ფ., კვერცხები 294 ფ.‘ ხეხილი 616 ფ., ქერი 487 ფ., ყველი 128 ფ., ბზე 475 ფ., და მადნეული წყლები 445 ფუთი.

ქუთაისი.

✦ რაჭა-ლეჩხუმში საფოსტო-დილიჟანების მიმოსვლა უკვე დაიწყო და გაზეთებიც მიდის. წამხდარ გზებს თანდა თან ონამდი აკეთებდნენ, მაგრამ საშიარულოდ ჯერ კიდევ სახიფათოა.

✦ გუშინ 6 ივლისს ქუთაისიდან ხონს გაასვენეს დეპ. ა. ჩხენკელის დედა. გასვენებას დიდძალი პატივისმცემლები დაესწრნენ, როგორც დეპუტატის თანამოაზრეებისგან, ისე გარეშეებიდანაც. კუბო ხალხმა ქალაქის ბოლომდე მიაცილა და ხონშიაც ეტლებით ნათესავებს გარდა ამხანაგ-ნაცნობებიც გაჰყვენ. გზა და გზა დეპუტატს და მის ოჯახობას სამძიმრის გამოსაცხადებლად ბევრნი ხვდებოდნენ. ლეჩხუმის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ-დი ი. გელოვანი თანამგრძნობის სამძიმრით შეხვდა დეპუტატს.

რა მდგომარეობაშია დღეს ივერიის ეკლესიის საკითხი?

IV. [1])

ზოგი ჭირი მარგებელიაო,—1905 წლის 31 მაისის ინციდენტზე ითქმის.

31 მაისმა, როდესაც სემინარიის ძველ შენობის დროებითი უფროსმა უმაგალითო მოქმედებითი შეურაცყოფა მიაყენა ქართველ სამღვდელოების წარმომადგენლებს, თვალები აუხილა ქართველ საზოგადოებას და ცხადად დაანახა, რომ ივერიის ეკლესიის საკითხის მოსაწესრიგებლად პლატონიური სურვილები და ტკბილად დაწერილი თხოვნები არ ჰკმაროდა, საჭირო იყო აქტიური მოქმედება.

გარემოებათა ვითარებაც ხელს უწყობდა მოქმედებას: ექსარხოსი ალექსი პირველი დაუყოვნებლივ პეტროგრადში გაიწვიეს და ახალი ადგილი მისცეს; დეკანოზი ვოსტორგოვიც ხომ სრულიად მოულოდნელად მოშორდა კავკასიის საზღვრებს. საქართველოს ექსარხოსად დაინიშნა არქიეპისკოპოსი ნიკოლოზი, რომელიც, როგორც გამიგონია, თუ მომხრე არ იყო ივერიის ეკლესიის ავტოკეფალიისა, შესაძლოდ სცნობდა შერიგებოდა მას. სამწუხაროდ, ამ ადამიანის პიროვნება და მრწამსი ჯერაც გამოურკვეველია ჩვენში. ამისი მიზეზია როგორც ის გარემოება, რომ ის მოკლე ხანს, რამოდენიმე თვე დარჩა ჩვენში, აგრეთვე ის განსაკუთრებითი, დროს დამახასიათებელი პირობები, რომელშიაც მას მოუხდა ივერიის ეკლესიის მართვა-გამგეობა. მან თითქმის არც კი მიიღო ის პეტიცია, რომელიც მას ქართველ სამღვდელოების წარმომადგენლებმა მხცოვან დეკანოზის ხელით მიართვეს 1905 წლის აგვისტოს ექსარხოსის კარის-საყდარში. მაგრამ ამბობენ, რომ მან ეს ტექტიკური მოსაზრებით ჰქნაო და ამავე დროს თურმე დაბეჯითებით დაჰპირდა ჩვენს ეპისკოპოსებს, რომ უსათუოდ მხარს დაუჭერ ავტოკეფალიის საკითხსაო. რამდენად სიმართლეა ეს უკანასკნელი აზრი, ჩვენის ეპისკოპოსების საიდუმლოებას შეადგენს, მაგრამ ის კი უეჭველია, რომ ნიკოლოზ ექსარხოსის შუამდგომლობის შედეგი იყო უწმიდეს სინოდის 1906 წლის 22 აგვისტოს უქაზი № 9111, რომლითაც გამოქვეყნდა, რომ ხელმწიფე იმპერატორმა 11 აგვისტოს უმაღლესად ინება, რომ საკითხი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობისა გარდაეცა განსახილველად სრულიად რუსეთის მომავალ კრებას.“ თვით ტექსტი ამ უქაზისა ნიკოლოზ ექსარხოსის შუამდგომლობას ასახელებს.

აი, ამ ექსარხოსის დროს მოხდა ოფიციალური სხდომა ანუ, ასე ვთქვათ, პირველი დამფუძნებელი კრება სრულიად საქართველოს სამღვდელოების დელეგატებისა, რომელმაც შეიმუშავა ცნობილი და პირვანდელ ეკლესიის წესწყობილების აღდგენით შესანიშნავი პროექტი საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციისა (Проектъ реорганизаціи грузинской церкви“) [2])

დელეგატთა კრებას კერძოდ ქართლ-კახეთის ეპარქიაში წინ უძღოდა თბილისის ქართველ სამღვდელოების 1905 წლ. 12 დეკემბრის კრება, რომლის აღწერას ვინმე მწირი იმ დროის ოფიციოზში—„საქართველოს საეკსარხოსოს სასულიერო მოამბეში“ [3]) ასე იწყებს: „ხსენებულ კრებას—სწერს ბ. მწირი—უნდა აერჩია დელეგატები სრულიად საქართველოს სამღვდელოებეს დელეგატთა კრებაში მონაწილეობის მისაღებად. მაგრამ როდესაც ამომრჩეველთა შემადგენლობაზე ჩამოვარდა სიტყვა, მღვდლებმა მთავრებითა და მედავითნეებითურთ ბერებს საარჩევნო ხმა არ მისცეს და მარტო თითონ შეუდგნენ დელეგატების არჩევას. ვამტკიცებთ, რომ თეთრი სამღვდელოება ამ შემთხვევაში უსამართლოდ მოექცა ბერებს და შელახა ის თავისუფლება, რომელსაც თვითონ ეძიებს. შეიძლება სამღვდელოებას არ ჰქონდა რამე პატივსადები მიზეზი, რომ ბერებს დელეგატების არჩევაში ხმა არ მისცა, მაგრამ არავის არავითარი ასეთი მიზეზი არ დაუსახელებია და ფაქტიურად ისე გამოდის, რომ თეთრმა სამღვდელოებამ თითქოს ძალდატანებით წაართვა ბერებს ის უფლება, რომელიც უკანასკნელთ დღემდინ ეკუთვნოდათ. მაგრამ ტყუილად კი არ არის ნათქვამი, რასაც დასთესავ, იმასვე მოიმკიო. სამღვდელოებამ სულ რამოდენიმე წუთის შემდეგ მოიმკო ის, რაც კრების დასაწყისში დასთესა. როცა დელეგატების არჩევაზე მიდგა საქმე, თბილისის მთავარ-დიაკვნებმა და მედავითნეებმა გადაჭრით განაცხადეს, რომ არც დელეგატების არჩევნებში მივიღებთ მონაწილეობას და კიდევაც დღესვე გავიფიცებით, თუ მღვდლები ამ საათშივე არ დაკმაყოფილებენ ჩვენს მოთხოვნილებებსო,—და წარმოადგინეს ოცი თუ მეტი პუნქტი მოთხოვნილებათა“...

არ ვიცი, მიიღეს თუ არა ბერებმა და მთავრებ-მედავითნეებმა მონაწილეობა სრულიად საქართველოს სამღვდელოების დელეგატთა კრებაში, მაგრამ ის „პროექტი საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციისა“, რომელსაც ამ კრებას აწერენ, [4]) შესანიშნავ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ივერიის ეკლესიის კულტურულ ზრდისა და გათვითცნობიერების მატიანეში. მაშინ როდესაც დღევანდელ კანონების ძალით ეკლესიის, როგორც მორწმუნეთა საზოგადოების, მართვა-გამგეობაში უპირატესობა ცალკე, ერთეულ პირებს და ისიც უსათუოდ სამღვდელოების წარმომადგენლებს ეკუთვნის,—„პროექტი“ ასეთს უპირველესობას თვით

[1]) „საქართველო“ №№ 15, 18 და 29.

[2]) „Духовный Вѣстникъ“ 1906 წ. № 4, გვ. 6—16.

[3]) Духовный Вѣстникъ“ 1905 წლის, №№ 23—24, გვ. 18—22.

[4]) შესაძლებელ საყვედურის თავიდან ასაცილებელად საჭიროდ მიგვაჩნია აქვე აღვნიშნოთ, რომ „სასულიერო მოამბე“, სადაც პირველად (და ვგონებ მხოლოდ აქ) დაიბეჭდა „პროექტი საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციისა“, (რაღაცა გაუგებარ მიზეზით არ უჩვენებს) ამ „პროექტის“ არც ავტორს, არც წყაროს, მაგრამ პირად რედაქციისაგან გამიგონია და მცოდნე პირნი დღესაც ამბობენ, რომ ეს „პროექტი“ 1905 წლის დეკემბრის დელეგატთა კომისიამ შეადგინაო.

მორწმუნეთა, მაგრამ მხოლოდ თავის ნებით და შეგნებით მორწმუნეთა [5]) და უმეტესად ერისგანთა წარმომადგენლებს აძლევს. დღევანდელი მბრძანებელი, განუსაზღვრელ უფლებებით მოსილი მთავარი ეკლესიისა („князь церкви")—ეპისკოპოსი „პროექტით" მხოლოდ მეთვალყურე და აღმასრულებელია იმ კანონებისა, რომლებსაც სამღვდელო და ერისგანთა კრებული ადგენს ხანგამოშვებით. მორწმუნე ერისგანთა უპირატესობა ეკლესიის მართვა-გამგეობაში და ნამდვილი დემოკრატიული ხასიათი თვით მართვა-გამგეობისა უმთავრესი პრინციპია, რომელზედაც მკვიდრად და მთელი სივრცე-სიმძიმით, როგორც დიადი შენობა უჩინარ საძირკველზე, აგებულია ყველა 26 მუხლი „პროექტისა". თვით პატრიარქი-კათალიკოსი მხოლოდ პირველია დანარჩენ სამ ეპისკოპოსთა შორის და არა უფროსი მათი (§ 12). ეპისკოპოსის პატრიარქითურთ სრული უფლებაა მხოლოდ სამი საგანი: ზნეობა-სარწმუნოების მოძღვრება-მასწავლებლობა, მღვდელმოქმედება და მოვლა-შენახვა სჯულის მოძღვრებისა. დანარჩენში ის ისევე განსაზღვრულად, როგორც ყველა უბრალო მოქალაქე, ემორჩილება იმ კანონებს, რომელთა დამწესებლების უმეტესობა ერისგანებია (§ 16). კათალიკოსს ირჩევს 30 სასულიერო და 60 ერისგანი დელეგატი (§ 13). ასეთივე ხმის უმეტესობა აქვთ ერისგანთ ეპისკოპოსის არჩევნებშიაც (§ 17). სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებას შეადგენს 40 სასულიერო და 80 ერისგანი წარმომადგენელი (§ 10), კათალიკოსის საბჭოს 4 სასულიერო და 4 ერისგანი (§ 11), საეპარქიო კრებას 30 სასულიერო და 60 ერისგანი (§ 14), საეპარქიო საბჭოს 2 სასულიერო და 4 ერისგანი (§ 15).... დედაკაცს ისეთივე უფლებანი აქვს საეკლესიო საქმეებში, როგორც მამაკაცს (§ 21). მღვდლებს და ეკლესიის მსახურთ ირჩევს თვით მრევლი (§ 23). ეკლესია, როგორც მხოლოდ მორწმუნეთა საზოგადოება ანუ ჯგუფობრივი კავშირი მორწმუნეთა, მარტოდ-მარტო სარწმუნოებრივ-ზნეობრივ მიზეზებს ემსახურება და არავითარ შემთხვევაში, არაფრისათვის არ ერევა სახელმწიფოს საქმეებში (§ 4), აქვს .საკუთარი წყარო სამღვდელო და სასულიერო დაწესებულებათა შესანახად (§ 25), სამაგიეროდ მოითხოვს, რომ სახელმწიფოც არ ერეოდეს ეკლესიის საქმეში (§ 4) და ქონებრივად ეხმარებოდეს ეკლესიას, სანამ უკანასკნელს ხაზინა დაუბრუნებს მის აუვალ მამულებს (§ 26).

საერთოდ დიდი უნარი, წინდახედულება და დროს შესაფერად საქმის ცოდნა ეტყობათ „პროექტის" ავტორებს და თვით „პროექტი" ძვირფასი განძია მომავალ კანონმდებლისათვის. სასურველია რომელიმე სასულიერო ქართველმა დაწესებულებამ [6]) ქართულად ცალკე წიგნაკად გამოსცეს ეს „პროექტი", სანამ იგი ჯერ კიდევ დავიწყებას არ მისცემია.

(შემდეგი იქნება)

ახელი.

გენერალ მაკენზენის ტაქტიკა

როდესაც მაკენზენის ლოძის იერიშს ვარჩევდი 1914 წელს, ვსთქვი, გერმანელებისთვის მაკენზენი ამომავალი მზე იქნება-მეთქი.

იმაზე წინ ჩვენ ჰინდენბურგის კარგად მოწესრიგებულსა, მაგრამ მაინც ჩვეულებრივ გერმანულ ტაქტიკასთან გვქონდა საქმე; ამ ტაქტიკის წარმოებით ჯარი ისე უნდა დაეწყოს, რომ მის შუაგულის ხაზები უნდა იყოს წვრილი, მაგრამ მკვიდრი, რომელიც სიმაგრეებს ეყრდნობა, ხოლო წვერებზე დიდძალ ჯარს უყრიან თავს.

ჯარის ასეთის დარაზმვით მოწინააღმდეგე სცდილობს შუაგული გაარღვიოს.

მაგრამ ლოძთან და საზოგადოდ გალიციაში მაკენზენის იერიშის დროს სულ სხვანაირ წყებას ვამჩნევდით. გერმანელები წინდაწინვე ნიშანში ამოღებულ ადგილისკენ მოისწრაფოდნენ და ვიდრე არ აიღებდნენ, თავს არ დაანებებდნენ, თუნდაც რომ მეტად ძვირად დაჯდომოდათ; ისინი კალიის მსგავსად ანთებულ ცეცხლისკენ მოისწრაფოდნენ, იწვოდნენ და ცეცხლს ანელებდნენ.

ასეთს ტაქტიკას ადგა მაკენზენი გალიციაში ბრძოლის დროს.

ასეთ ტაქტიკის გამოყენება ძველ დროსაც იცოდნენ. ალექსანდრე მაკედონელიც ასე აწყობდა თავის ჯარს და ასეთივე ტაქტიკას მისდევდა. მაკენზენმა ძველად ხმარებული ჯარის ფართე წყობა ახლანდელ ტეხნიკას შეუფერა.

შუბების მაგიერ ეხლა ჯარში ზარბაზნის ლულებია ამოშვერილი. მისი არტილერია სამ-ოთხ რიგად ეწყობა: საველე ზარბაზნებისა, რიგი საშუალოსი (4, 2 დიუმიანი გაუბიცია), რიგი მძიმე არტილერიის, (6—8 დიუმიანი), დაბოლოს გალიციის ბრძოლაში მიღებულ იყო რიგი მეტად მძიმე არტილერიისა (9—12 დიუმ.).

ყველა ეს თანასწორ რიგებზე კი არ ეწყობა, არამედ ბატარეიებს ანაწილებენ მოფარებით, ჯგუფ-ჯგუფად და მას შემდეგ ანაწილებენ ოთხ წყებად, იმის და მიხედვით თუ ბრძოლა რა მანძილზე სწარმოებს.

ასე რიგად დაწყობილ არტილერიასთან ბრძოლა მეტად ძნელია. მის წინააღმდეგ ასეთივე ძლიერი და შორსმსროლელი არტილერია უნდა იქნეს გამოყვანილი.

თუნდა მას წინ პირველხარისხოვანი საველე ზარბაზნები დაუყენო, მაინც გერმანელების გაუბიცებს ვერ მისწვდება. იგი დიდ წინააღმდეგობას გაუწევს მოწინააღმდეგეს, მაგრამ მძიმე არტილერიით მაინც განადგურდება.

ამრიგად, თუ გვინდა მაკენზენის ჯარის დამარცხება, ისეთივე ზარბაზნები უნდა დაუყენოთ წინ, როგორიც მას აქვს.

მაკენზენის ქვეითი ჯარსაც თავისებური ტაქტიკა აქვს.

ამბობდნენ, რომ გერმანელები ჩვენკენ პირდაპირ მოდიანო. ეს ჯერ არ მჯეროდა, მაგრამ გალიციაში ვნახე, თუ როგორ ახერხებდნენ იერიშების მოტანას.

ქვეითი ჯარის იერიშების მოტანა საუცხოოდ აქვთ მოწყობილი.

ჯერ დაუშენენ მძიმე არტილერიას, ისვრიან დიდ ზარბაზნებს და ამ დროს ქვეითი ჯარი თავს იყრის იმ ადგილას, საიდანაც უნდა იერიში მიიტანონ. ამისთვის ტყეს, გორაკს ან სოფელს აირჩევენ ხოლმე.

მტრის მოსაჯგუფებლად ნელ-ნელა და ფრთხილად იყრიან თავს. ერიდებიან ტყეილ-უბრალო მსხვერპლს.

ერთხელ გერმანელების ჯარს დასჭირდა თხრილებამდე ნახევარი ვერსის გავლა. გამოყო ერთმა მცირე რაზმმა თავი, ესროლეს ჩვენებმა შრაპნელები და ისინიც მიიმალნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ ტყიდან სამი-ოთხი ჯარისკაცი გამოვიდა. ესენი გამოიქცნენ მინდორზე და როცა დანიშნულ ადგილს მოვიდნენ, ჩაწვნენ, ჩასაფრდნენ. მათ სხვები მოჰყვნენ, სხვებს კიდევ სხვები თითო-თითოდ; ბატარეის მდგომარეობა ამ ჟამად უხერხულია. ამ კანტი-კუნტად გამოქცეულებზე როგორ დაიხარჯოს აუარებელი ყუმბარა და ტყვია-წამალი?

ტყეში ჩასაფრებულებს ესროლოს,—ესეც საეჭვოა. ძალა-უნებურად საათნახევარი ცდა მოუხდა ჩვენს ჯარს, ვიდრე გერმანელები ერთ ადგილს არ მოქუჩდნენ, როცა ნახევარ ვერსის მანძილზე თავი მოიყარეს, დაიწყო იერიში.

ამ დროს უკანიდან მძიმე არტილერიაც შველის.

პირველი რიგი ბრძოლაში ჰკარგავს ორ მესამედს, მეორე რიგი ნახევარს და შემდეგი რიგები უფრო ნაკლებს, ასე რომ ჩვენ თხრილებამდე 5—6 რიგი მაინც აღწევს. ესენი „კომანდის" დროს აიშლებიან და მოაქვთ იერიში. მავთულის ქსელს ნაწილი ანგრევს, ნაწილი ისვრის. ასეთს წამოსულს ნიაღვარს თოფი ვერაფერს აკლებს. ან უნდა ტყვიისმტყორცნელები დაუშინო, ან და შენც ხმალდახმალ იერიშზე გადახვიდე. (რუს. სლ.)

მოგზაურის დღიურიდან

უძო.

სხვა საქართველო სად არის
რომელი კუთხე ქვეყნისა...

გრ. ორბელიანი.

კვირას, 17 მაისს დილით, გავემგზავრეთ ეკლესია უძოსკენ, რომელიც მდებარეობს 7—8 ვერსის მანძილზე, დასავლეთით თბილისიდან, კოჯრის ახლოს.

გზას შევუდექით ქართულ გიმნაზიიდან, საიდანაც იწყობა შესანიშნავი ვარაზის ხევი, თითქმის სოფ. წყნეთამდე. ეს ხევი იმისთანა საოცარი სილრმისაა, რომ როდესაც მაღლიდგან გადასცქერი, ძირში მდგომი ადამიანი ძლივს მოსჩანს.

ამ ხევში მოჩხრიალებს პატარა მდინარე. ვარაზის ხევი თვალწარმტაც სანახაობას წარმოადგენს და მოგაგონებთ საქართველოს სამხედრო გზის ერთ-ერთ ხევ-უფსკრულს. თუმცა ასე ახლოა ეს შესანიშნავი ხევი, მაგრამ ვეჭვობ, რომ ბევრს ჩვენგანს ენახოს იგი. ამ ხევს რომ უყურებთ, უნებლიეთ გაგონდებათ ბალმონტის სიტყვები: ...„შექმნის წუთში უზენაესს თვის განზრახვა სრულ უყვია: ვით ლერწამი, მას სალი-კლდე მოუდრეკავს, მოუხრია".

ადგილ-მდებარეობა უძოსი ერთი უმაღლესთაგანია თბილისის ახლო-მახლო მიდამოებში. იგი გარსშემორტყმულია ტყით და ირგვლივ ჯადოსნური სანახაობანი იშლებიან. აქვე არის ციცი წყაროები. ბატონიშვილი ვახუშტიც იხსენიებს ამ ადგილს და, სხვათაშორის, გვიამბობს: ...„მის (ახალდაბის) დასავლით არს უძო, ეკლესია წმიდის გიორგისა, მაღალსა გორასა ზედა, მჭვრეტი კოჯრისა და თბილისისა". აქაურმა დიაკვანმა შემდეგი თქმულება გვიამბო ამ ტაძარზე: უ ძ ო, ანუ უ ძ ე ო იმისთვის ეწოდება თურმე, რომ ოდესღაც, ამ მიდამოების ვიღაც მფლობელს შვილი არა ჰყოლია და ღმერთს შეჰვედრებია და აღთქმა დაუდვია,—ოღონდ შვილი მეყოლოს და ეკლესიას ავაგებო. უფალს შეუსმენია მისი თხოვნა-ვედრება და მასაც აღუგია ეს ტაძარი, რის გამოც დარქმევია ეს სახელიო. ამიტომაც არის, რომ ეკლესიის ახლო-მახლო, აქაიქ ხეებზე უთვალავი ფალას-ფულასია ჩამოკიდული მლოცველების მიერ, ნიშნად აღთქმა-სავედრებელისა უფლისა... არის აგრეთვე მეორე ვერსია: ვითომც ეს ტაძარი აღეშენოს ერთ-ერთ ცამეტ წმ. მამათაგანს.*)

საკვირველია, რომ ჩვენი საზოგადოება ასე გულგრილად ეპყრობა მოგზაურობა-ექსკურსიებს და გაურბის მას. ეს მთელი გაზაფხული სისტემატიური ექსკურსიები იმართება საზოგადო კლუბის და მასწავლებელ ქალთა საზოგადოების მიერ, არა მარტო თავიანთ წევრებისათვის, არამედ ყველა მსურველისათვის.

ამიტომ თუ ჩვენ, ქართველებს არა გვაქვს საკუთარი სათანადო დაწესებულება, რომელიც მოაწყობდა მოგზაურობას სამშობლო ქვეყნის შესასწავლად და გასაცნობად—სხვა აწ არსებულ მომქმედ საზოგადოებით მაინც ვისარგებლოთ.

ექსკურსიები ეწყობა ხოლმე კვირაობით და პირობები ამის შესახებ გამოცხადებულია შაბათის გაზეთში—ქრონიკაში. ყველა მსურველს დიდი სიამოვნებით იღებენ.

— შიო-მღვიმე

კვირას, 21 ივნისს, გავემგზავრეთ დილის მატარებლით შიო-მღვიმის მონასტერში, რომელიც მცხეთიდან 8 ვერსის მანძილზეა, ჩრდილო-აღმოსავლეთით. მტკვრის მარცხენა მხარეს, ხოლო შიომღვიმის ბაქანიდან კი 4 ვერსი იქნება მონასტრამდე, იქ, სადაც მტკვარს ერთვის პატარა ცელქი მდინარე ციხე-დიდის წყალი, არის გამართული ბორანი მონასტრისა, რითაც გადაველით მტკვარზედ; აქვე ბოძზე არის წარწერა განცხადებაგაფრთხილება, რომ ამ ალაგას ბანაობა მტკვარში სახიფათოაო, რადგან ქვაკლდეებით ყოფილა მტკვარი მოფენილი და ბევრი მსხვერპლიც შეუწირავს, რის გამოც ამ ადგილას დაჭრქმევია „კაციჭამია".

ეს მონასტერი იმდენად ბუნების სიმდიდრით არ არის შესანიშნავი, რამდენადაც ისტორიული ნაშთებით, მეტადრე მღვიმე-გამოქვაბულებით, ჩუქურთმებით და ძველი ქვის კანკელით, რომელიც საუცხოო და განმაცვიფრებელი ქანდაკებითაა შემკული. (იხ. სურათი, გვ. 660 „ქართველი ერის ისტორია" პროფ. ი. ჯავახიშვილისა).

შიო-მღვიმის მონასტერი აშენებულია მეექვსე საუკუნეში და მისი დღესასწაული 9 მაისშია,—ამ დღეს გარდაიცვალა წმ. შიო. დღეს აქ 10—12 ქართველი ბერი სცხოვრობს. ისტორიკოსი ვახუშტი ამ მონასტრის შესახებ შემდეგს მოგვითხრობს:... „და კლდე ესე არს ვითარცა ნაშენი ქვითკირისა. არს აქა მონასტერი დიდი, გუნბათიანი, და მღვიმე მას შინა, რომელსა შინა სცხოვრობდა წმ. შიო იგ (13) მამათაგანი. მის აწ არქიმანდრიტი. არს მღვიმესა შინა საფლავი წმიდის შიოსი, სასწაულთ-მოქმედი, რომლისა გარემოს მისა ვერ იკადრებს მხეცნი შეჭმად პირუტყვთა მონასტრისასა. არს აქა კვალად ეკლესია დიდი, უგუნბათო, კეთილ-ნაშენი. ხოლო იტყვიან, ძველად იდგა ჭ (500) მონაზონნი ამათ ადგილთა შინა. წმ. შიოს ნაწილი აღმოვიდოდა წლითი-წლად, ძვალი შიშველი, თვნიერ ხორცთა, და თაყვანის სცემდენ და მიიღებდენ კურნებასა. შანადირ მოავლინა მაჰმადიანნი, რათა იხილონ უკეთუ ჭეშმარიტი არს. ხოლო მათ შემუსრეს სამყოფი ნაწილთა და დაამტვრიეს. შემდგომად შეკრიბეს და დაასვენეს მუნვე. მიერით არღარა აღმოვალს ამ ჟამამდე".

მ. ჯანაშვილიც გვიამბობს: „შიო შევიდა სარკინეთის მღვიმეებში. მასთან ერთად მოღვაწეობდა სეფეწული ევაგრე, მეფის მოადგილე, ფრიად მხნე სპასპეტი. მეფე ფარსმანმა მონასტრების ასაშენებლად მისცა 30 ლიტრა ოქრო, ოქროს ბარძიმი და ფეშხუმი და ყოველი სხვა სამსახურებელი ვერცხლისა, ოქროს დიდი ჯვარი და სახარება ფრიად შვენივრად შემკობილი სანატრელისა მეფის ვახტანგისა-მიერ. შიო და ევაგრე დიდად მიჩნეული წმინდანნი იყვნენ: სიგელ-გუჯრებში იგინი იხსენიებიან თანაბრად წმ. ნინოსი, სვეტიცხოვლისა, მოციქულებისა. შიო მღვიმეში სამი ტაძარია: უმთავრესია იოანე ნათლისმცემლისა, მეორე ღვთისმშობლის მიძინებისა და მესამე წმ. შიოსი. ღვთისმშობლის მიძინების საყდარი ააგო დავით აღმაშენებელმა († 1125 წ.) იმ წელიწადს, როდესაც მღვიმის მოღვაწეთა შემწეობით დაამარცხა განდგომილი მთავარი ძაგანი და მისი შვილი ვოდისტოსი. მეფემ შესწირა მონასტერს 3000 ცხვარი, ბევრი თქრო-ვერცხლის ნივთები და ჯამაგირი დაუნიშნა მონასტრის მგალობლებს". (იხ. საქართველოს ისტორია გვ. 246. ტ. პირველი მ. ჯანაშვილისა და აგრეთვე მისი შენიშვნა ვახუშტის გეოგრაფიაში გვ. 89).

ამ მონასტრის მიდამოებში მრავლად არის პატარა ეკლესია-სენაკები; ერთი ამათგანი, სახელწოდებით წმ. ჯვრისა, აღმართულია ერთ უმაღლესს მწვერვალზე, საიდანაც თვალწარმტაცი სანახაობანი იშლებიან ირგვლივ.

სამწუხაროდ, აქ არ იშოვება აღწერილობა მონასტრისა! ოდესღაც ყოფილან მხოლოდ რუსულ ენაზედ და გამოლეულა. აუცილებლივ საჭიროა ქართულ ენაზედ შესდგეს ასეთი წიგნი.

ჩვენმა ბერებმა და სასულიერო პირებმა ცოტა რამეში მაინც რომ წაჰბაძონ თავიანთ სახელოვან წინაპრებს, ურიგო არ იქნება.

ერმალოზ კახი.

*) მივაქცევ ყურადღებას ვისიც ჯერ არს, რომ ამ ეკლესიის გალავნის გარედ—შესავალში ძევს ოთხ-კუთხიანი ქვა, რაზედაც მშვენივრად გამოჭრილია ჯვარი წარწერით, რომელიც სამწუხაროდ ძნელი წასაკითხია, რადგანაც ოდნავ და სჩანს. რადგან ეს ნაშთი გარედ გდია, ადრე თუ გვიან მოისპობა და განქარდება...

ე. კ.

ფეიერვერკი

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემოსწირეს:

1. შალვა მიქელაძემ: ორი თეთრი ფული.

2. მღვდელმა ნესტორ ბაკურაძემ (თიანეთის მაზრა): ა) სამი კოპეიკი და შუბი სპილენძისა, სოფელ საყარაულო მიწაში ნაპოვნი და ბ) ხევსურული მუზარადი.

3. ღენერალმა ალექსანდრე ივანეს ძემ ვაჩნაძემ: ა) შვიდი თეთრი ფული (ამათში ერთი ალექსანდრე მაკედონელისაა, ერთი სასანიდებისა, ერთი არაბაკიდებისა, ერთი არაბული და სამი სპარსული), ბ) ორმოცდა-ხუთი შავი ფული (ამათში სამი ქართული—ორი ლაშა გიორგისა და ერთი რუსუდანისა, შვიდი ევროპული, ორი რუსული და დანარჩენი სპარსული) [illegible] ბურჯელი.

4. [illegible] (ბათუმის სკოლის გამგემ): ა) „ცნობის ფურცელი" და მისი მიმდევნო გაზეთების კომპლექტები (1905—1914 წ.) თვითეულ კომპლექტს რამდენიმე ნომერი აკლია, ბ) ორი თეთრი ფული და სამი შავი ფული და გ) თითბრის რგვალი პრტყელი ნივთი ზედ წარწერით.

5. იოსებ ცხადაძემ (მოლიოიდან): ოთხი შავი ფული.

საზოგადოების საბჭო გულითადს მადლობას სწირავს შემომწირველებს.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

თბილისიდან გადის:

თბილისიდან . . .	8 ს. 13 წ.	დილ.
ნავთლუღ-ამიერ-კავ. .	8 „ 40 „	„
ნავთლუღ-კახეთ. . .	8 „ 58 „	„
ვაზიანიდან . . .	10 „ 06 „	„
ივრიდან	21 „ 15 „	„
საგარეჯოდან . . .	11 „ 58 „	„
ბადიაურიდან . . .	12 „ 56 „	„
ელაანიდან . . .	2 ს. 16 წ.	საღ.
გურჯაანიდან . . .	3 „ 37 „	„
კარდენახიდან . . .	4 „ 12 „	„
წნორის-წყალზე . .	4 „ 44 „	„

გურჯაანიდან-თელავამდე № 7.

გურჯაანიდან . . .	3 ს. 42 წ.	საღ.
ვაჩნაძიანიდან . . .	4 „ 33 „	„
თელავში	5 „ 27 „	„

თბილისიდან მოდის:

წნორის-წყლიდან . .	8 ს. 58 წ.	დილ.
კარდანახიდან . . .	9 „ 41 „	„
გურჯაანიდან . . .	10 „ 24 „	„
მელაანიდან . . .	11 „ 39 „	„
ბადიაურიდან . . .	12 „ 59 „	დღ.
საგარეჯოდან . . .	2 „ 80 „	„
ივრიდან	2 „ 50 „	„
ვაზიანიდან . . .	3 „ 55 „	„
ნავთლუღ-კახეთ . .	4 „ 58 „	„
ნავთლუღ-ამიერ-კავ. .	5 „ 13 „	„
თბილისში	5 „ 28 „	„

თელავიდან-გურჯაანამდე № 8.

თელავიდან . . .	8 ს. 54 წ.	დილ.
ვაჩნაძიანიდან . . .	9 „ 25 „	„
გურჯაანში . . .	10 „ 07 „	„

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისში მოდის:

№ 3 ბაქოდან . . .	12 ს. 54 წ.	დღ.
№ 4 ბათომიდან . .	5 ს. 55 წ.	საღ.
№ 5 ბაქოდან (სწრაფი)	7 ს. 41 წ.	საღ.
№ 10 ბათომიდან. .	9 ს. 51 წ.	დილ.
ჯულფიდან. .	6 ს. 53 წ.	დილ.
ბორჯომიდან .	7 ს. 25 წ.	დილ

თბილისიდან გადის:

№ 3 ბათომისკენ . .	1 ს. 45 წ.	დღ.
№ 4 ბაქოსკენ . .	7 ს. 3 წ.	საღ.
№ 6 ბაქოს (სწრაფი)	12 ს. 8 წ.	დღ.
№ 9 ბათომისკენ . .	8 ს. 53 წ.	საღ.
ჯულფისკენ .	10 ს. 23 წ.	საღ.
ბორჯომისკენ	3 ს. 29 წ	დღ.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა.

25—31

თევზის მრეწველნი

ძმ. ალეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.

განაყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვილთ", სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა,** მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქი. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

[5]) დღეს კი ყოველი ქრისტიანე, სურს თუ არა, უსათუოდ უნდა ექვემდებარებოდეს მორწმუნეთა რომელსამე ოფიციალურ უწყებას,

[6]) მაგალითად, სიონის ტაძართან არსებულმა ღვთისმშობლის სახელობის ძმობამ.

ბსწრაფ-მბეჭდავი სტამბა სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ. № 5.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან.